



## ეკონომიკა

**ეკონომიკური ზრდა:** საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2024 წლის ივნისში რეალური მშპ 7.5%-ით გაიზარდა, წინა თვეში დაფიქსირებული 9.2%-იანი ზრდის შემდეგ. ჯამურად, 2024 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ეკონომიკა წლიურად 9.0%-ით გაიზარდა. ივნისში ეკონომიკის ზრდა ძირითადად განაპირობა საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების, მშენებლობის, ინფორმაცია და კომუნიკაციების, ტრანსპორტის და პროფესიული და სამეცნიერო საქმიანობების ზრდებმა. ამასთან, კლება დაფიქსირდა მხოლოდ დამამუშავებელი მრეწველობის დარგში.

ჩვენი საბაზისო პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკა 7.0%-ით გაიზარდება 2024 წელს (იხილეთ უახლესი მაკრო პროგნოზები აქ).

**ინფლაცია:** 2024 წლის ივლისში წლიური ინფლაცია 1.8%-მდე შენედა, წინა თვეში დაფიქსირებული 2.2%-იანი ინფლაციის შემდეგ. ინფლაციის შენელება ძირითადად ადგილობრივი ინფლაციის 1.9%-მდე შენელებამ განაპირობა (+2.8% წ/წ წინა თვეში), მაშინ როცა იმპორტირებული ინფლაცია 3.7%-მდე გაიზარდა (+3.3% წ/წ წინა თვეში). ამასთან, საბაზო ინფლაცია, რომელიც კალათიდან გამორიცხავს სურსათის, ენერჯომატარებლების და თამბაქოს ფასებს, ივლისში 1.1%-მდე შენედა წინა თვეში არსებული 1.4%-იანი დონიდან.

2024 წლის ივლისში წლიური ინფლაციის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებში: ტრანსპორტი (+9.4% წ/წ, +1.12პპ), სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (+1.4% წ/წ, +0.48პპ), ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო (+4.3%, +0.29პპ), სასტუმროები და რესტორნები (+6.7%, +0.22პპ), კავშირგაბმულობა (-7.6% წ/წ, -0.29პპ) და კომუნალური (-2.8% წ/წ, -0.22პპ).

ამასთან, თვიურ შრილში ივლისში 0.4%-იანი დეფლაცია დაფიქსირდა, რომელიც ძირითადად სურსათი და უალკოჰოლო სასმელების (-0.7% თ/თ, -0.24პპ) და კავშირგაბმულობის (-6.6% თ/თ, -0.24პპ) ჯგუფებმა განაპირობა.

**მონეტარული პოლიტიკა:** საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2024 წლის 30 ივლისს რეგულაციის განაკვეთი უცვლელად 8.0%-ზე დატოვა. აღნიშნული გადაწყვეტილება ძირითადად საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობისა და სურსათის ფასების მერყეობიდან, ასევე, ჩინეთიდან ტრანსპორტირების ღირებულების ზრდის ფაქტორიდან მომდინარე გაზრდილ ინფლაციურ რისკებს უკავშირდება. სებ-ის განახლებული პროგნოზით, ინფლაცია მის მიზნობრივ მაჩვენებელს 2024 წლის ბოლომდე დაუახლოვდება. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2024 წლის 11 სექტემბერს ჩატარდება.

**ტურიზმის შემოსავლები:** სებ-ის შეფასებით, 2024 წლის პირველ ნახევარში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები წლიურად 5.2%-ით გაიზარდა და რეკორდული მაჩვენებელი 1.9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ჩვენი პროგნოზით, 2024 წელს ტურიზმის შესავლები 4.3 მლრდ აშშ დოლარს მიაღწევს (4.1 მლრდ აშშ დოლარი იყო 2023 წელს).


გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება ამ დოკუმენტის ბოლო გვერდზე.

## ეკონომიკური ინდიკატორები

|                                 | 2023   | 2024F     |
|---------------------------------|--------|-----------|
| რეალური მშპ-ს ზრდა              | 7.5%   | 7.0%      |
| მშპ ერთ სულზე (ppp)             | 23,344 | 24,967    |
| მშპ ერთ სულზე (აშშ \$)          | 8,210  | 8,727     |
| მოსახლეობა (მლნ)                | 3.7    | 3.7       |
| ინფლაცია (საშუალო)              | 2.5%   | 2.5%      |
| საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)  | 5.0    | 4.8       |
| მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %) | 4.4%   | 5.6%      |
| ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)    | 2.4%   | 2.5%      |
| სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)       | 39.2%  | 39.0%     |
| Fitch/S&P/Moody's*              |        | BB/BB/Ba2 |


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტი & თაბორი  
\*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

## რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური ზრდის ტემპი



წყარო: საქსტატი

## წლიური ინფლაცია საქართველოში



წყარო: საქსტატი, სებ



# ფულადი ბაზარი


**გასულ კვირას სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონი არ გამართულა.** უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2024 წლის 6 აგვისტოს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის სახაზინო ობლიგაციები და 3.4-წლიანი 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

## სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2024 წელი

| ვადიანობა    | გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი | დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი | დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი* |
|--------------|--------------------------------------|------------------------------|---------------------------------|
| 1 წლამდე     | 330                                  | 200                          | 410                             |
| 1 წელზე მეტი | 1,789                                | 1,150                        | 8,203                           |
| <b>სულ</b>   | <b>2,119</b>                         | <b>1,350</b>                 | <b>8,613</b>                    |


წყარო: ფინანსთა სამინისტრო  
\* 2024 წლის ივნისის მდგომარეობით

## სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

## განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

## მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

## ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ  
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას



# ობლიგაციები

## ქართული ევროობლიგაციები

| გამომშვები       | ვალუტა | მოცულობა, მლნ | კუპონი  | გამომშვების თარიღი | დაფარვის თარიღი | რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope) | საშუალო ფასი | საშუალო პროცენტი, % | Z-spread, bps |
|------------------|--------|---------------|---------|--------------------|-----------------|------------------------------------|--------------|---------------------|---------------|
| GEORG 04/26      | USD    | 500           | 2.750%  | Apr-21             | Apr-26          | BB/BB/Ba2                          | 93.45        | 6.87                | 305.18        |
| GRAIL 06/28      | USD    | 500           | 4.000%  | Jun-21             | Jun-28          | BB-/BB-/-                          | 88.55        | 7.46                | 403.15        |
| GEBGG 9 1/2 PERP | USD    | 300           | 9.500%  | Apr-24             | n/a             | B-/-/B2                            | 97.72        | 10.09               | 668.31        |
| SILKNET 01/27    | USD    | 300           | 8.375%  | Jan-22             | Jan-27          | BB-/-/B1                           | 99.79        | 8.47                | 484.64        |
| TBC 10.775 PERP  | USD    | 125           | 10.775% | Jul-19             | n/a             | B-/-/-                             | 100.19       | 9.22                | 399.33        |
| TBC 8.894 PERP   | USD    | 75            | 8.894%  | Nov-21             | n/a             | B-/-/-                             | 95.69        | 10.91               | 728.38        |
| TBC 10 1/4 PERP  | USD    | 300           | 10.250% | Apr-24             | n/a             | -/-/B2                             | 98.37        | 10.65               | 714.95        |

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე წყარო: Bloomberg

## ქართული ადგილობრივი ობლიგაციები


| გამომშვები                    | ვალუტა | მოცულობა, მლნ | კუპონი           | გამომშვების თარიღი | დაფარვის თარიღი | რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope) | საშუალო ფასი | საშუალო პროცენტი, % |  |
|-------------------------------|--------|---------------|------------------|--------------------|-----------------|------------------------------------|--------------|---------------------|--|
| <b>USD</b>                    |        |               |                  |                    |                 |                                    |              |                     |  |
| Bakhvi Hydro Power            | USD    | 1.2           | 9.40%            | Nov-17             | Nov-27          | -/-/-/-                            | n/a          | n/a                 |  |
| Lisi Lake Development         | USD    | 12            | 6.50%            | Dec-21             | Dec-24          | -/-/-/B+                           | n/a          | n/a                 |  |
| Georgia Real Estate           | USD    | 35            | 8.50%            | Oct-22             | Oct-24          | -/-/-/-                            | 99.97        | 8.50                |  |
| Geo. Renewable Power Oper.    | USD    | 80            | 7.00%            | Oct-22             | Oct-27          | -/-/-/-                            | 100.00       | 7.00                |  |
| Lisi Lake Development         | USD    | 10            | 8.50%            | Dec-22             | Dec-24          | -/-/-/B+                           | 99.99        | 8.50                |  |
| Geosteel                      | USD    | 15            | 9.00%            | Apr-23             | Apr-25          | -/-/-/-                            | 99.99        | 9.00                |  |
| Silk Real Estate              | USD    | 20            | 9.00%            | Apr-23             | Apr-26          | -/-/-/-                            | 99.99        | 9.00                |  |
| Tegeta Motors                 | USD    | 20            | 8.50%            | Apr-23             | Apr-25          | -/-/-/BB-                          | 99.77        | 8.75                |  |
| Energy Development Georgia    | USD    | 10            | 8.50%            | Jun-23             | Jun-25          | -/-/-/-                            | n/a          | n/a                 |  |
| Georgia Capital               | USD    | 150           | 8.50%            | Aug-23             | Aug-28          | -/BB-/-/-                          | 101.08       | 8.19                |  |
| Silk Real Estate              | USD    | 20            | 9.25%            | Sep-23             | Sep-26          | -/-/-/-                            | 100.91       | 8.63                |  |
| Prime Concrete                | USD    | 7.5           | 10.50%           | Sep-23             | Sep-27          | -/-/-/-                            | n/a          | n/a                 |  |
| Austrian-Georgian Development | USD    | 15            | 9.00%            | Oct-23             | Oct-25          | -/-/-/-                            | n/a          | n/a                 |  |
| MFO EuroCredit                | USD    | 10            | 9.50%            | Dec-23             | Dec-27          | -/-/-/-                            | n/a          | n/a                 |  |
| Geosteel                      | USD    | 5             | 8.50%            | Dec-23             | Dec-25          | -/-/-/-                            | 99.63        | 8.75                |  |
| IG Development                | USD    | 20            | 8.50%            | Dec-23             | Dec-25          | -/-/-/-                            | 99.61        | 8.75                |  |
| Tegeta Motors                 | USD    | 5             | 8.50%            | Jun-24             | Jun-26          | -/-/-/BB-                          | n/a          | n/a                 |  |
| Tegeta Motors                 | USD    | 3.3           | 8.50%            | Jun-24             | Jun-26          | -/-/-/BB-                          | n/a          | n/a                 |  |
| IG Development                | USD    | 19.5          | 8.50%            | Jul-24             | Jul-26          | -/-/-/-                            | n/a          | n/a                 |  |
| <b>EUR</b>                    |        |               |                  |                    |                 |                                    |              |                     |  |
| Tegeta Motors                 | EUR    | 5             | 7.00%            | Apr-23             | Apr-25          | -/-/-/BB-                          | 99.77        | 7.25                |  |
| Tegeta Motors                 | EUR    | 4             | 7.00%            | Dec-23             | Dec-25          | -/-/-/BB-                          | 99.63        | 7.25                |  |
| Tegeta Motors                 | EUR    | 7             | 6.75%            | Dec-23             | Dec-25          | -/-/-/BB-                          | 100.37       | 6.50                |  |
| IG Development                | EUR    | 5             | 7.00%            | Jan-24             | Jan-26          | -/-/-/-                            | 99.60        | 7.25                |  |
| Tegeta Motors                 | EUR    | 10            | 6.75%            | May-24             | May-26          | -/-/-/BB-                          | n/a          | n/a                 |  |
| <b>GEL</b>                    |        |               |                  |                    |                 |                                    |              |                     |  |
| Vian (Evex)                   | GEL    | 50            | Ref rate + 3.10% | Nov-19             | Nov-24          | -/-/-/BB                           | n/a          | n/a                 |  |
| Nikora Trade                  | GEL    | 35            | TIBR3M + 3.50%   | Nov-21             | Nov-24          | -/-/-/BB-                          | n/a          | n/a                 |  |
| Nikora                        | GEL    | 35            | TIBR3M + 3.50%   | Nov-22             | Nov-25          | -/-/-/BB-                          | n/a          | n/a                 |  |
| MFO MBC                       | GEL    | 15            | TIBR3M + 4.50%   | Dec-22             | Dec-24          | -/-/-/B                            | n/a          | n/a                 |  |
| Tegeta Motors                 | GEL    | 150           | TIBR3M + 3.50%   | Dec-22             | Dec-25          | -/-/-/BB-                          | n/a          | n/a                 |  |
| MFO Crystal                   | GEL    | 25            | TIBR6M + 4.75%   | Dec-22             | Feb-25          | B-/-/-/-                           | n/a          | n/a                 |  |
| MFO Rico Express              | GEL    | 130           | TIBR1D + 2.00%   | Mar-23             | Mar-26          | -/-/-/B+                           | n/a          | n/a                 |  |
| TBC Leasing                   | GEL    | 100           | TIBR3M + 3.00%   | Mar-23             | Mar-26          | BB-/-/-/-                          | n/a          | n/a                 |  |
| TBC Leasing                   | GEL    | 15            | TIBR3M + 2.75%   | Jun-23             | Jun-26          | BB-/-/-/-                          | n/a          | n/a                 |  |
| Tegeta Motors                 | GEL    | 20            | TIBR6M + 3.50%   | Jun-23             | Dec-25          | -/-/-/BB-                          | n/a          | n/a                 |  |
| Tegeta Motors                 | GEL    | 20            | 14.5%            | Dec-23             | Dec-25          | -/-/-/BB-                          | n/a          | n/a                 |  |
| Cellfie                       | GEL    | 65            | TIBR6M + 3.50%   | Dec-23             | Dec-25          | -/-/-/BB-                          | n/a          | n/a                 |  |
| Tegeta Motors                 | GEL    | 10            | 13.50%           | Jul-24             | Jul-26          | -/-/-/BB-                          | n/a          | n/a                 |  |

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი




# ობლიგაციები

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)




წყარო: Bloomberg

კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი



წყარო: გალტ & თაგარტი

კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი სექტორების მიხედვით




წყარო: გალტ & თაგარტი



# აქციები


## საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

**საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN)** აქციები დაიხურა 41.50 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -9.78% წინა კვირასთან შედარებით და +2.34% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 264 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 41.15 - 47.10 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 70 ათასი აქცია შეადგინა.


## თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

**თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN)** აქციები დაიხურა 28.05 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -7.27% წინა კვირასთან შედარებით და +8.72% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 579 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 28.00 - 31.95 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 85 ათასი აქცია შეადგინა.

## საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

**Georgia Capital-ის (CGEO LN)** აქციები დაიხურა 9.92 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -6.94% წინა კვირასთან შედარებით და +0.61% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 227 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 9.92 - 10.88 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 84 ათასი აქცია შეადგინა.



## აქციები

### აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

|                    | ტიკერი | ვალუტა | აქციის ფასი | კაპიტალიზაცია | R თვე | წ/წ ცვლ. | წლის დას. | P/E          |              |              | P/B          |              |              |
|--------------------|--------|--------|-------------|---------------|-------|----------|-----------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
|                    |        |        |             |               |       |          |           | 2023         | 2024F        | 2025F        | 2023         | 2024F        | 2025F        |
| Bank of Georgia    | BGEO   | GBP    | 41.50       | 1,892         | 9.5%  | 30.3%    | 4.4%      | 4.36x        | 3.81x        | 3.91x        | 1.19x        | na           | na           |
| TBC                | TBC    | GBP    | 28.05       | 1,554         | -3.6% | 15.2%    | -0.9%     | 4.78x        | 4.45x        | 3.83x        | 1.15x        | na           | na           |
| Halyk Bank         | HSBK   | USD    | 17.38       | 4,740         | 18.2% | 21.9%    | 14.6%     | 2.57x        | 2.79x        | 2.66x        | 0.72x        | na           | na           |
| Akbank             | AKBNK  | TRY    | 60.20       | 313,040       | 53.3% | 114.7%   | 64.8%     | 2.86x        | 4.40x        | 2.77x        | 0.90x        | 1.19x        | 0.83x        |
| Garanti            | GARAN  | TRY    | 124.20      | 521,640       | 94.4% | 172.5%   | 112.9%    | 2.84x        | 5.00x        | 3.36x        | 1.00x        | 1.59x        | 1.07x        |
| Isbank             | ISCTR  | TRY    | 14.86       | 371,500       | 45.3% | 135.9%   | 59.0%     | 3.23x        | 4.16x        | 2.61x        | 0.87x        | 1.10x        | 0.76x        |
| PKO                | PKO    | PLN    | 55.88       | 69,850        | 4.4%  | 41.3%    | 11.0%     | 11.44x       | 7.00x        | 6.82x        | 1.39x        | 1.39x        | 1.29x        |
| PEKAO              | PEO    | PLN    | 151.50      | 39,764        | -5.3% | 31.1%    | -0.4%     | 6.07x        | 6.44x        | 6.75x        | 1.32x        | 1.25x        | 1.20x        |
| Millennium         | MIL    | PLN    | 8.56        | 10,384        | -0.2% | 35.6%    | 2.5%      | 17.78x       | 3.82x        | 4.47x        | 1.47x        | 1.35x        | 1.17x        |
| Mbank              | MBK    | PLN    | 582.00      | 24,715        | 4.1%  | 26.2%    | 8.8%      | na           | 8.74x        | 5.97x        | 1.65x        | 1.64x        | 1.25x        |
| BRD                | BRD    | RON    | 21.85       | 15,227        | 23.3% | 48.6%    | 21.9%     | 7.62x        | 10.74x       | 10.87x       | 1.42x        | 1.62x        | 1.52x        |
| Banca Transilvania | TLV    | RON    | 28.50       | 22,762        | 32.9% | 53.5%    | 34.9%     | 7.76x        | 7.75x        | 7.59x        | 1.82x        | 1.84x        | 1.58x        |
| Komercni           | KOMB   | CZK    | 777.00      | 147,668       | 3.2%  | 8.8%     | 7.2%      | 8.76x        | 9.98x        | 9.58x        | 1.09x        | 1.19x        | 1.18x        |
| <b>Mean</b>        |        |        |             |               |       |          |           | <b>6.67x</b> | <b>6.08x</b> | <b>5.48x</b> | <b>1.23x</b> | <b>1.42x</b> | <b>1.19x</b> |
| <b>Median</b>      |        |        |             |               |       |          |           | <b>5.43x</b> | <b>5.00x</b> | <b>4.47x</b> | <b>1.19x</b> | <b>1.37x</b> | <b>1.19x</b> |

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმე ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საუქმველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგო უკავშირებლობის ან დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**გალტ & თაგარტი**  
**მისამართი:** პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო  
**ტელ:** + (995) 32 2401 111  
**ელ. ფოსტა:** research@gt.ge

**კვლევები:**  
ტელ: +995 32 2401 111 (4298)  
**საბროკერი:** sales@gt.ge  
ტელ: +995 32 2401 111 (4132)  
**საინვესტიციო-საბანკო მიმართულება:** ib@gt.ge  
ტელ: +995 32 2401 111 (7457)